საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იურიდიული განათლება

იურიდიული განათლება, სახელმწიფოს, მმართველობისა და სამართლის შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა, რაც გვაძლევს პროფესიული იურიდიული საქმიანობის წარმოების საფუძველს. სამართალმცოდნეობის სპეციალისტთა მომზადების სისტემა. განათლების ერთ-ერთი უძველესი დარგი.

იურიდ. სასწავლებლები ჯერ კიდევ ძვ. რომში არსებობდა. შუა საუკუნეების ევროპის უნ-ტებში ერთ-ერთი პირველი ფაკ-ტი იყო იურიდიული, ხოლო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბოლონიის უნ-ტი უმაღლესი იურიდ. სკოლის ბაზაზე შეიქმნა (1158). ევრ. - იურიდ. ფაკ-ტების შექმნა-გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი რომის სამართლის რეცეფციამ. სამართალი ისწავლებოდა აგრეთვე ძველ აკადემიებში (საქართველოში – გელათისა და იყალთოს აკადემიები).

მოსკოვის უნ-ტში (დაარსდა 1755) პირველ სამ ფაკ-ტს შორის (სამედიცინოსა და ფილოსოფიის ფაკ-ტებთან ერთად) იურიდ. ფაკ-ტიც იყო, რ-იც ერთ-ერთ სავალდებულო ფაკ-ტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, რუსეთში არსებობდა იურიდ. ლიცეუმები და სამართალმცოდნეობის სასწავლებლები. ი. გ. ჰქონდათ მიღებული ი. ჭავჭავაძეს, გ. რობაქიძეს, სანქტპეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე სწავლობდა აგრეთვე ვაჟა-ფშაველა და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ი. გ-ის განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული თსუ-სთან, სადაც 1922 სოც.-ეკონ. ფაკ-ტზე შეიქმნა იურიდ. განყ-ბა. მის ბაზაზე 1930 ჩამოყალიბდა „საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი". 1933 ეს ინ-ტი გადაკეთდა თსუ-ის ფაკ-ტად და საბჭ. სამართლის ფაკ-ტი დაერქვა, ხოლო 1936-იდან –

იურიდ. ფაკ-ტი.

თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე, მისი დაარსებიდან დღემდე, გაშლილია შესაბამისი სასწავლო და სამეცნ. მუშაობა, აქ იზრდებიან ახალგაზრდა მეცნიერები. 1957-იდან საქართვ. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში (ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტი – ახლანდ. თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტი) სამართლის განხრით დაიწყო მეცნიერული კვლევა და სამეცნ. კადრების აღზრდა.

ი. გ. საქართველოში უფრო მეტად პოპულარული გახდა საბჭ. იმპერიის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. გაიხსნა იურიდ. ფაკ-ტები საქართვ. სხვადასხვა უნ-ტებში (თელავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ.). მრავალი ახალგაზრდა ი. გ-ს იღებს აგრეთვე საზღვარგარეთ.

ლიტ.: ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის, «საბჭოთა სამართალი», 1973, N4–5.

ს. ჯორბენაძე

ო. გამყრელიძე